სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

27 მაისი, 2025 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 01-02/106

ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ ზანდა მესხიძის სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის თარიღის დანიშვნისა და დარგობრივი სადისერტაციო კომისიის შექმნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 27 დეკემბრის №06-01/29 დადგენილების, „ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულების“ (ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 13 თებერვლის №01-06/16 დადგენილება), ზანდა მესხიძის დოქტორანტურაში ჩარიცხვის შესახებ ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 19 სექტემბრის №01-08/722 ბრძანების, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილების (ოქმი №21-20/04, 20.05.2025) და ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის სამსახურებრივი ბარათის (MES 563138, 22.05.2025) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ **ზანდა მესხიძის** სადისერტაციო ნაშრომის **„სასურსათო უსაფრთხოების და კვების ინდუსტრიის კონკურენტუნარიანობის ამაღლების სტრატეგიები (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაგალითზე)“** საჯარო დაცვა დაინიშნოს 2025 წლის 04 ივლისს 12:00 საათზე, 423-ე აუდიტორიაში (ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის ქ. №35/32, კორპუსი N2, მე-4 სართული).

2. დამტკიცდეს ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ შექმნილი **„ბიზნესის ადმინისტრირების“** დარგობრივი **სადისერტაციო კომისია** შემდეგი შემადგენლობით:

2.1. ვლადიმერ ღლონტი - ბსუ-ს პროფესორი **(კომისიის თავმჯდომარე)**;
2.2. ლეილა ცეცხლაძე - ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი **(მდივანი)**;
2.3. ნათელა წიკლაშვილი - ბსუ-ს პროფესორი;
2.4. ბადრი გეჩბაია - ბსუ-ს პროფესორი;
2.5. გულიკო ქათამაძე - ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;
2.6. ნატო ჯაბნიძე – ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;

2.7. ნანული მახარაძე - ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;
2.8. ნატალია რობიტაშვილი - ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;
2.9. ირმა ჩხაიძე - ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;
2.10. თამთა ვარშანიძე - ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი;
2.11. ლია ბერიძე - ბიზნესის მართვის დოქტორი.

3. ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის ოფისმა უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების დოქტორანტისათვის გაგზავნა და მის პირად საქმეში განთავსება.
4. ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მდივანმა უზრუნველყოს დოქტორანტისა და შესაბამისი სადისერტაციო კომისიის წევრების ინფორმირება საჯარო დაცვის თარიღისა და განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ.
5. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
6. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (პროფ. მ. ხალვაში), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტს, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს (პროფესორი რ. მანველიძე) და საბჭოს მდივანს (ლ. ცეცხლაძე), საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. 130).

ბსუ-ს რექტორი **ტიტე არუშიძე**